აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №30
2014 წლის 25 აგვისტო

ქ. აბაშა

„აბაშის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 ივლისის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„აბაშის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 ივლისის №22 დადგენილებაში რომელიც გამოქვეყნებულია „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში" (05/08/2014 წელი სარეგისტრაციო კოდი: 010260020.35.110.016162) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„2 . სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფებია:

ა) კულტურისა და ძეგლთა დაცვის განყოფილება;

ბ) განათლების განყოფილება:

გ) სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილება“.

2. დებულების მე-3 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს „უ“ ქვეპუნქტი:

„უ) საზოგადოებრივი განათლებისა და გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის უზრუნველყოფისთვის შესაბამისი წინადადებების მომზადებას და ღონისძიებების დაგეგმვას.“

3. დებულების მე-4 მუხლი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„მუხლი 4. კულტურისა და ძეგლთა დაცვის განყოფილების ფუნქციები

სამსახურის კულტურისა და ძეგლთა დაცვის განყოფილება დადგენილი წესით უზრუნველყოფს:

ა) კულტურისა და ძეგლთა დაცვის მუნიციპალური პროგრამების შემუშავებას;

ბ) კულტურისა და ძეგლთა დაცვის მუნიციპალურ პროგრამათა განხორციელების კოორდინაციას;

გ) მუნიციპალური მუზეუმების, კულტურის სახლების, თეატრების, სახელოვნებო სკოლების და კულტურის სხვა დაწესებულებების მართვას;

დ) მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის, კულტურის უძრავი და მოძრავი ძეგლების, ყოველ ისტორიულ ეპოქაში შექმნილი კულტურული და შემოქმედებითი მოღვაწეობის ნიმუშების (ფოლკლორის, ისტორიული, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და ა.შ.) აღრიცხვას, დაცვას, შენარჩუნებასა და პოპულარიზაციას;

ე) თეატრის, კინოს, მუსიკის, ქორეოგრაფიის, სახვითი, გამოყენებითი პროფესიული ხელოვნებისა და ხალხური ხელოვნების დარგების განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას, ტრადიციების

შენარჩუნებასა და პოპულარიზაციას;

ვ) ეროვნული სიმდიდრის დაცვას და პოპულარიზაციას, გამოჩენილი პიროვნებების ხსოვნის უკვდავყოფის, კულტურის სფეროში დასაქმებულთა მოღვაწეობის წარმოჩინებისა და პოპულარიზაციის ხელშეწყობას:

ზ) მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელებას.“

4. დებულებას დაემატოს 4 [1] მუხლი შემდეგი რედაქციით :

„მუხლი 4[1]. განათლების განყოფილების ფუნქციები“

1. განათლების სფეროში მუნიციპალური პროგრამების შემუშავება;

2. განათლების სფეროში მუნიციპალურ პროგრამათა განხორციელების კოორდინაცია;

3. სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების მართვის კოორდინაცია;

4. წინადადებების შემუშავება განათლების დაწესებულებების შექმნისა და რეორგანიზაციის საკითხებზე;

5. გამოჩენილი პიროვნებების ხსოვნის უკვდავყოფის, განათლების სფეროში დასაქმებულთა მოღვაწეობის წარმოჩინებისა და პოპულარიზაციის ხელშეწყობა;

6. საზოგადოებრივი განათლებისა და გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის უზრუნველყოფისთვის შესაბამისი წინადადებების მომზადება და ღონისძიებების დაგეგმვა.

7. მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელება.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აბაშის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **პაატა ქურდოვანიძე**